სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მოხალისეთა პროგრამის შესახებ დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მოხალისეთა პროგრამის შესახებ დებულება (შემდგომში – დებულება) განსაზღვრავს სახელმწიფო ენის სფეროში მოხალისეობითი საქმიანობის განხორციელების წესს, მოხალისეთა სტატუსს, მოხალისის რეგისტრაციის წესსა და მოხალისეთა უფლება-მოვალეობებს.

1.2. მოხალისეობითი ურთიერთობა არის მოხალისისა და სახელმწიფო ენის დეპარტამენტს (შემდგომში – დეპარტამენტი) შორის ურთიერთობა, რომელიც ამ დებულებისა და მხარეთა თავისუფალი ნების საფუძველზე მიღწეული შეთანხმების შესაბამისად ხორციელდება.

1.3. სახელმწიფო ენის სფეროში მოხალისე (შემდგომში – მოხალისე) შეიძლება იყოს ქმედუნარიანი, 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, რომელიც არაერთჯერადად ნებაყოფლობით და უანგაროდ ჩაერთვება მოხალისეთა პროგრამაში.

მუხლი 2. მოხალისეთა პროგრამის მიზნები

2.1 მოხალისეთა პროგრამის მიზნებია:

ა) სახელმწიფო ენ(ებ)ის პოპულარიზაცია;

ბ) ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დანერგვის მიზნით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება;

გ) ტექნოლოგიური ინიციატივები;

დ) საქართველოს ენობრივი მრავალფეროვნების დაცვისა და განვითარების ხელშეწყობა.

მუხლი 3. მოხალისეთა ფუნქციები

3.1 დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო ენ(ებ)ის პოპულარიზაციისათვის საჭირო პროექტებისა და სხვა აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

3.2 ახალგაზრდული ინიციატივების წარმოდგენა და განხორციელება;

3.3 სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების შესრულებაში მონაწილეობა.

მუხლი 4. მოხალისეთა ზედამხედველობა

4.1 მოხალისეთა ზედამხედველობას ახორციელებს დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები.

მუხლი 5. მოხალისეთა რეგისტრაცია

5.1 მოხალისეთა პროგრამაში მიღებას პერიოდულად აცხადებს დეპარტამენტი. მიღების შესახებ ინფორმაცია თავსდება დეპარტამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე

www.enadep.gov.ge-ზე და მოხალისეობის მსურველი ავსებს რეგისტრაციისათვის განკუთვნილ აპლიკაციას.

5.2 მოხალისეები შეირჩევიან დეპარტამენტში შექმნილი კომისიის მიერ, აპლიკაციისა და გასაუბრების საფუძველზე.

5.3 მოხალისის სტატუსი მიენიჭებათ გასაუბრების შედეგად შერჩეულ აპლიკანტებს.

მუხლი 6. მოხალისეობითი ხელშეკრულება

6.1 მოხალისეობითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით, განსაზღვრული ვადით.

მუხლი 7. მოხალისეთა უფლება- მოვალეობები

7.1 მოხალისეთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მოხალისეობითი ხელშეკრულებით.

მუხლი 8. ცვლილებები და დამატებები

ამ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.